ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 143

ოთხშაბათი, 4 ივლისი, 1901 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 143

ოთხშაბათი, 4 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადასტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება
სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—57)

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,
ვა, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ტ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევანი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადასტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ბ. ი. გემდიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ეძლევა კოლეჟსკი სეკრეტრობა ბათუმის ნაწილის ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორის თანაშემწეს ხჯიძეს.

ახალი ამბავი

*** სატახტო ქალაქის გაზეთებში შემდეგს ამბავსა ვკითხულობთ: „კავკასიელ მეღვინეთა კავშირი ამ ცოტა ხანში აარსებს პეტერბურგში კავკასიურ ღვინოების საწყობებს. კავშირის წევრებად ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მევენახენი არიან. კავშირი მარტო თავის ვენახების ღვინოს არ გაჰყიდის, იგი კომისიონერობასაც გასწევს წვრილ მევენახეთა და მომხმარებელთა შორის. ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად

ფელეტონი

წერილები ინგლისიდგან

(წერილი მე-XXVIII)

საზოგადოებრივ ცნობიერების გაღვიძება.—ჯ. მორლეის სიტყვები, ლორდ რიპონისა და ფ. გარრისონის წერილები.—მისს ღობლოუზი და იმისი ანგარიში.—ფრანგ-ინგლისელ მუშათა მანიფესტაცია.—დიდი მიტინგი ომის წინააღმდეგ.—გაზეთები.

ომის პირველ დღიდგან აქამომდე, ე. ი. მთელი 20 თვე, აქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიბნელისა და ძარცვა-გლეჯის მიმდევარნი იმარჯვებდნენ. მოწინავე, განათლებული და ჰუმანიურ მისწრაფებათა გზაზედ მდგარი ინგლისი, შეშფოთებული და თითქმის შეშინებული გამარჯვებულ რეაქციის თავხედობისაგან, დიდის სიმწუხარით ითმენდა მოსყიდულ ჟურნალ-გაზეთების მიერ წარსულის დიად ტრადიციების შელახვას.

მაგრამ არც ერთ ხალხის ცხოვრებაში ძალ-მომრეობასა და ძარცვა-გლეჯას არ შეუძლიან ხანგრძლივ ბატონობა. უძლიერესმა რეაქციამაც-კი ადრე თუ გვიან ქედი უნდა მოიხაროს და დაუთმოს საზოგადოების აზრს, უკეთ რომ ვსთქვათ, აზრს მოწინავე უმცირესობისას, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის ხოლმე თითქმის ყოველი რეაქცია. ასე მოხდა მეტერნიხის სისტემის დროს, ესევე განმეორდა მეორე იმპერიისა და აგრეთვე კომუნის შემდეგ გაბატონებულ რეაქციის დროს. მით უმეტეს არ შეეძლო ძალიან დიდ ხანს ბატონობა რეაქციას ინგლისში, სადაც მან ძალა მოტყუებითა, ცილის-წამებითა და მოსყიდვით ჩაიგდო.

წინადაც არა ერთხელ აღმინიშნავს საზოგადოების გამოღვიძების ნიშნები: მუშათა ორგანიზაციების მანიფესტაციები, სალიბერალო ფედერაციის კრებები და რეზოლიუციები, ოპოზიციის ორატორთა მხნეობა და პარლამენტში დაუცხრომლად მოქმედება და სხვ... მაგრამ ყველა ეს მხოლოდ პირველი ნიშნები იყო მომავალის შეტაკებისა. ნამდვილი აგიტაცია საზოგადოებაში, მედგარი იერიში სამინისტროსა და რეაქციაზედ მხოლოდ ეხლა იწყობა. ჩვეულებრივ ხარჯთა საოცარმა ზრდამ, ომზედ 2 მილიარდ მანეთზედ მეტის დახარჯვამ, ახალმა გადასახადებმა, საერო სკოლის შევიწროებამ და განსაკუთრებით იმ მხეცობისა და ძალ-მომრეობის გამოქვეყნებამ, რომელსაც ტრანსვაალში დედაკაცებისა და ბავშვების წინააღმდეგ ხმარობენ, თვით სამინისტროს მომხრეთა შორისაც მრავალნი გამოაფხიზლა და ხმა ამოაღებინა თვით ფრთხილ და ყოველ სიტყვის ამწონ-დამწონთაც.

პირველად აღიმაღლა ხმა ყოფილმა და უთუოდ მომავალმა სალიბერალო მინისტრმა ჯონ მორლეიმ. მორლეიმ ჯერ ისევ იანვარშივე გამოაქვეყნა პირველი წერილი, რომელშიაც აწერილი იყო გადაბუგვა და განადგურება ბოერების სახლებისა, წისქვილებისა, ხიდებისა, სამუშაო იარაღისა და სხვათა. ამასთან მორლეიმ ნათლად დაამტკიცა, რომ ყველა ეს ინგლისის ჯარის-კაცთა გამხეცების ნაყოფი კი არა, სისტემატიური საშუალებანი იყო, სამინისტროს მიერ დამტკიცებული, ხოლო გენერლების მიერ სისრულეში მოყვანილი. სამინისტრო და იმისი ზნე-დაცემული ჟურნალ-გაზეთები, რაღა ლაპარაკი უნდა, უარ-ყოფას შეუდგნენ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს საზიზღრობა ტრანსვაალში განზრახ და სისტემით არ იქმნა ჩადენილიო. დასწვეს, ამბობდნენ ისინი, რამდენიმე ფერმა, რომელნიც ბოერებმა სამხედრო საწყობებად და სამალავებად გადააქციესო. მაგრამ ოპოზიციამ ნამდვილი ცნობები მოითხოვა, და, იცი მკითხველო, რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ ინგლისელები ცეცხლს უკიდებდნენ და ანადგურებდნენ მთელ სოფლებს და განმარტოებულ ფერმებს. მარტო სამის თვის განმავლობაში—ნოემბერსა, დეკემბერსა და იანვარში,—გადამწვარ იქმნა 700 ფერმამდე.

იმავე წერილში პირველად იყო აწერილი, ტრანსვაალელ გმირთა ცოლებსა და შვილებს როგორც ამწყვდევენ მსხვილ მავთულით შემოვლებულ ფარეხებში, როგორ სისტემატიურად სტანჯავენ შიმშილითა და სიცივით ამ უმწეოსა და უდანაშაულოებს, როგორა ჰხდიან მათ სხვა-და-სხვა სენისა და ავადმყოფობის მსხვერპლად. ხელ-ახლა შეუდგა სამინისტრო და იმის მიერ მოსყიდული პრესსა ნამდვილ ამბების უარყოფას, ხელ-ახლა დაუწყო ბრალდება მორლეისა და ოპოზიციას, ცილსა სწამებენ ინგლისის ჯარსაო. მაგრამ ოპოზიციამ დამწყვდეულ დედაკაცთა და ბავშვთა, აგრეთვე დახოცილთა რიცხვი მოითხოვა.

აღმოჩნდა, რომ 63 ათასს სულზედ მეტი დაუმწყვდევიათ ამ ადგილებში, რომ ბუზებივით იხოცებიან ეს საცოდავნი, რომ შიმშილი და სიტიტვლე შეადგენს უდანაშაულო ბავშვთა ხვედრს, რომელთაგან სამის კვირის განმავლობაში 450 სული გამოესალმა წუთი-სოფელს!..

მაგრამ ყველა ეს გამოირკვა იანვარში კი არა, მაისის გასულს, მანამდე-კი სამინისტრო სამარცხვინოდ სცრუობდა და ატყუებდა ყველას. მხოლოდ ძალით, დიდის მეცადინეობის შემდეგ, ახერხებდნენ ყოველ ამბის შეტყობას და ამ ამბავთა შემწეობით პრესსასა და პარლამენტში სიცრუის გზაზედ დამდგარ სამინისტროს და გამხეცებულ რეაქციის გამტყუნებას. სამაგიეროდ, როდესაც გამოქვეყნებულ იქმნა გულ შემზარავი ფაქტები, დასასრული აღარა ჰქონდა ხალხის აღელვებასა და უკმაყოფილებას. საქმე იქამდის მივიდა, რომ პარლამენტის იმ კრებაზედ, რომელზედაც ლაპარაკი ტყვე დედაკაცთა და ბავშვთა შესახებ იყო, სამინისტრო დაცემას გადარჩა მხოლოდ ასკვიტისა და გრეის მეთაურობით შემდგარ ლიბერალ-იმპერიალისტთა ღალატის წყალობით, იმ ლიბერალ-იმპერიალისტთა, რომელთა შესახებ წინადაც ვწერდი. ამ ვაჟბატონებმა, რიცხვით 22 კაცმა, მონაწილეობა არ მიიღეს ხმის მიკრების დროს და ამის მეოხებით სამინისტრო განსაცდელს გადარჩა.

როდესაც ნამდვილმა ამბებმა დაამტკიცეს მორლეის ბრალდებანი, სალიბერალო გაზეთებს ენა გაეხსნათ და საპოლიტიკო მოღვაწეებმაც სხვა ჰანგზედ დაიწყეს ლაპარაკი: ჩვეულებრივმა თავდაჭერილობამ სიმკაცრესა და მოუხეშავ პირდაპირობას დაუთმო ადგილი. „Daily News“-მა, მაგალითად, პირში მიახალა ბალფურს, „სცრუობთო!“ რაც შეეხება რადიკალთა გაზეთებს, ამ შემთხვევაში არც იმათ დააკლეს სამინისტროს. „Star“-მა მოწინავე წერილით გამოილაშქრა; ეს წერილი სახარების სიტყვებით იწყობოდა. „უდანაშაულო ბავშვთა სისხლი თქვენსა და თქვენის შვილების თავზედაო, გამოუცხადა გაზეთმა მინისტრებსა, პარლამენტის უმრავლესობასა და მთლად ზნე-დაცემულ პრესსას. „იარაღი აისხით!

კავშირი აარსებს საწყობებთან განსაკუთრებულ ლაბარატორიას გასასყიდ ღვინოს გამოსაკვლევად". საინტერესოა, ამ კავშირის წევრებად მართლა მევენახენი არიან თუ სხვა ვინმე.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფოის დადგენილებით ჯარის სადგომების დასაქირავებლად 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინიდგან გადადებულ იქმნა ქალაქ ტფილისისათვის 65,000 მან; ახალციხისათვის—7,500 მან., გორისათვის—3,000 მან., ახალქალაქისათვის—1,000 მან. და სიღნაღისათვის—1,000 მან.

⁂ რედაქციამ მიიღო ანგარიში ქართულ დრამატიულ საზოგადოების მოქმედებისა 1900 წლის 1 ოქტომბრიდგან 1901 წლის 29 მაისამდე. ამ ანგარიშში მოთავსებულია გამგეობის მოხსენება საზოგადოების კრების მიმართ, შემოსავალ-გასავლის ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. მთელი ანგარიში გამგეობისა ოთხ ფურცელზეა მოთავსებული. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, ოქტომბრიდგან მაისამდე საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია სულ (ნაანგარიშევია თეატრის იჯარის შემოსავალიც) 32,056 მან. 75 კაპ., ხოლო ხარჯი—31,135 მან. 55 კაპ.

⁂ წელს ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდგან გადადებულ იქმნა 10,000 მან. ღარიბთა და შეუძლებელთათვის შეწევნის აღმოსაჩენად.

⁂ ამ ზაფხულს შეუდგებიან ხარფუხში საეკკლესიო-სამრევლო ინსტიტუტისათვის შენობის აგებას, რისთვისაც 89,000 მან. გადადებულია.

⁂ შვიდს ამ თვისას, შაბათს, რკინის გზის სადგურ გომში ქართული წარმოდგენა იქმნება გამართული გორის სამოქალაქო სასწავლებლისა და ქალთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ. წარმოდგენის გამართვა იტვირთეს პატივცემულმა კნ. მაკინე აბირეჯიბისამ და ნინო ყიფიანისამ. მონაწილეობას მიიღებს ნიჭიერი არტისტი ქალი ე. ჩერქეზიშვილისა. წარმოდგენის შემდეგ ქართული ცეკვა გაიმართება. იმედია, რომ პროვინციელი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ სასარგებლო წარმოდგენას.

⁂ ამერიკის ვაზი ძლიერ ვრცელდება თურმე ქუთაისის გუბერნიაში. შარშან სოფელ ჭყვიშსა და ვანის ჭალაში დაარსდა ამერიკის ვაზის სანერგეები. ახლა ასეთი სანერგეები გაუმართავთ კიდევ ლეჩხუმისა და რაჭის შემდეგ სოფლებში: აჭარასა, ზუბსა, იყურესა, ხვანჭკარსა და ახალ სოფელში.

⁂ აზრადა აქვთ შავის ზღვის გუბერნიაში 3 სასოფლო სამკურნალო დაარსონ. („ახ. მიმ.")

⁂ ამ წლის სექტემბერში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უწყებას ბაქოს ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქსაც მიაწერენ.

⁂ გზათა სამინისტროს დაუმტკიცებია ოჩემჩირესა და გუდაუთში ნავთსადგურების გამართვის წესები.

⁂ ბორჩალოს და ყაზახის მაზრებში მინდვრის თაგვები გაჩენილან, რომელნიც ანადგურებენ მოსავალს და დიდს ზარალს აყენებენ თურმე მცხოვრებლებს.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდგან სასოფლო საბეითალო ნაწილის შესანახად გადადებული ფული 37,105 მან. ამიერიდგან საქონლის ჭირთან საბრძოლველად დანიშნული თანხიდგან გადაიდოს. წელს ეს თანხა უდრის 350,000 მან.

⁂ როგორც შორაპნის მაზრიდგან გვატყობინებენ, ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის საეკკლესიო გალობის მასწავლებელს მღვდელს რაჟდენ ხუნდაძეს განუზრახავს სოფელ მუხურის მცხოვრებთ საეკკლესიო გალობა შეასწავლოს. ხალხი სიხარულით შეჰგებებია მამა ხუნდაძის განზრახვას.

⁂ როგორც ხევიდგან გვატყობინებენ, ს. ყანობის სამრევლოში წირვა-ლოცვა და სხვა სამღვთო-საქრისტიანო წესები არა-სამშობლო ენაზედ თურმე სრულდება და ამის გამო ხალხში სარწმუნოებისადმი დიდი გულგრილობაა გავრცელებული. გვიკვირს სწორედ! ნუ-თუ მახლობელმა სასულიერო უწყების მთავრობამ ეს არ უწყის, რომ ჯეროვანი განკარგულება მოახდინოს?

⁂ 2 ივლისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-238 ვერსზედ ორთქლმავალი № 375 დატვირთულ ვაგონიურთ ლიანდაგს გადასცდა თურმე და მძიმედ დაშავდა მემანქანის თანაშემწე ბორთოლინი.

⁂ 10 ივლისიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზას მატარებლები 1 წამით გაჩერდებიან ჩაქვის მახლობლად „აჩკუა"-ში, რათა ჩაქვის მოაგარაკეთ გაუადვილდეთ მიმოსვლა.

⁂ ბაქოს პოლიცმეისტერს განუზრახავს პოლიციელთა სკოლის დაარსება მომავალ შემოდგომაზედ. სკოლაში პოლიციელთ შეასწავლიან სხვა-და-სხვა საპოლიციო წეს-რიგს. მასწავლებლებად იქმნებიან: 1 ბოქაული, 1 ბოქაულის თანაშემწე და პოლიციის მოხელენი.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი გაემგზავრა ბორჯომსა და აბასთუმანში ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების სარევიზიოდ.

⁂ როგორც „კავკ."-ს აჭარიდგან სწერენ, იქ საშინელი სეტყვა მოსულა და გზა-ტკეცილები და ხიდები გაუფუჭებია.

⁂ როგორც ამავე გაზეთს სენაკის მაზრიდგან სწერენ, ამ უკანასკნელ ხანებში მოსულ წვიმებისა გამო მდინარე ცხენის წყალი ნაპირიდგან გადმოსულა და სოფლებში: სამიქაოსა, გეზათსა, გუდუხეთსა და მაიდანში მრავალი კარმიდამო და ყანები დაუზარალებია.

⁂ 2 ივლისს ნიგოითის სადგურში მატარებელს № 411-ს მარჯვენა ფეხი მოუტეხია 8 წლის ბავშვის კაჭაყმაძისათვის.

მთავრობის მოხელეების წინაშე გაწეული წინააღმდეგობა

(სოფ. ტირძნისიდგან)

28 მაისს აქ კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა. სოფელში მოსულიყვნენ დ. ცხინვალის სასამართლოს და პოლიციის მოხელეები, რომ გლეხებზედ ო. დ. სულხანიშვილის სასარგებლოდ დადგენილი აღმასრულებელი ფურცელი აღესრულებინათ. იმ დროს, როდესაც აწერილი საქონელი უნდა წამოესხათ თურმე გასასყიდად, მთელი სოფელი კეტებითა და კომბლებით წინააღუდგა და არ დაანებეს. საქმე რომ რადაც შემთხვევით მშვიდობიანად არ გათავებულიყო, ან ბოქაულებს არ მოეთმინათ, უთუოდ უბედურება დატრიალდებოდა. ბევრს თურმე ეცადნენ, რომ საქონელი წაესხათ, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოქაულებმა მაშინ უმაღლეს მთავრობასთან იჩივლეს გლეხების წინააღმდეგობაზე და 9 ივნისს გორის მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე ორმოცდა-ათის შეიარაღებულის დარაჯითა და ზემოხსენებული ბოქაულებით ცხინვალიდგან ხელმეორედ მოვიდნენ. მოარეკინეს საქონელი (ზოგმა მაშინვე მოიტანა ფული) და ჩააბარეს დიდის საზოგადოების მამასახლისს. უკეთუ შვიდის დღის განმავლობაში აღნიშნულს ფულ არ გადაიხდიან, საქონელი საჯაროდ გა. იყიდება. მაგრამ რამ გამოიწვია ასეთ, აურ-ზაური მთელის სოფლისა, არ ეკითხავთ? მოგეხსენებათ, ოჯახს თით მახინჯი არ გამოელევა და მართლ ვერ ნახავთ ქალაქს, დაბას თუ სოფელ რომ ერთი უთვალდა საზიზღარი ადამი. ნი და ამრევ-დამრევი არა ჰყვანდეს. და ჩვენს უბედს გლეხს ხომ აბა ვინ ა აცდენს?!.

აი, ბატონებო, საქმე რაშია: 189 წელს გლეხებმა თავიანთის მებატონის ო. დ. სულხანიშვილისაგან ნადელი შე. ისყიდეს. გარდა იმ ფულისა, რომელსა სესხად გლეხებს მთავრობა აძლევს, გლეხებმა თავიანთი ჯიბიდგან დღიურზე შვიდი მანეთი ზედ-მეტი იკისრეს, რა საც მთავრობა აძლევს. ამასთან მა სურვეს შესყიდვა ამოწყვეტილების მ. მულისაც, რომელიც სულხანიშვილ დაუთმო. 1899 წელს მოურიგდნენ ბა ტონს, მისცეს კანონიერი პირობა, რო ოთხის თვის განმავლობაში ფულ ჩააბარებენ. მთელმა სოფელმა თორმეტ კაცი ამოირჩია და სულხანიშვილს მისც თავდებად. აი, აქ უბედა გაუტყდა ტირძნისელებს ვიღაც არა-წმინდა ად მიანი და გააბრიყვა გლეხები, ნუ მის ცემთ თქვენს ბატონს მაგ ფულს, გ საქმე მე მომანდეთ და სრულიად გა ცდენთ, ბატონი ვერას გადაგახდევინებთო, ოღონდ თქვენა სთქვით, რომ ა შვიდი მანეთი, რომელსაც დღიურზე დაჰპირებიხართ, დღიურზედ-კი არა, ა დღიურზედ უნდა მიგეცათ და ბატონმა, როგორც, უნდოდა ისე ჩაწერინა პირო ბაში; ჩვენ, როგორც უგიცს და ბეჩავ ხალხს, არა გაგვეგებოდა-რა-თქო. მარ თლაც-და დაუჯერეს ამ არა წმიდა კაც, რადგანაც შუბლზედ კაკარდის ხედავდნენ „ხემწიფის კაციაო" სთქვეს გლეხებმ და მისი მაცდური რჩევა ჭკუაში მოუვიდათ.

თქმა და ქმნა ერთი ყოფილა: ა გაჰბატონეს მაშინვე პირობით შეჰკვრიან.

მიჰმართა ხალხს „Reynolds"-მა.— ჩვენი გამგეები ბორკილს მარტო ბურებს არ უმზადებენ... ეს ვაჟბატონები თვით ჩვენც გვიპირობენ ბორკილის გაყრასაო!.." ასე მოურიდებლად და მკაცრად შეუდგნენ სამინისტროს გაკიცხვას დამოუკიდებელნი და უკიდურესნი. ნაკლების სიმკაცრით არც პოლიტიკისა, მეცნიერებისა და ლიტერატურის გავლენიანმა წრეებმა გამოილაშქრეს. პირველობა ამ შემთხვევაშიაც ჯონ მორლეიმ გასწია.

ორს, თავისს ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულს, სიტყვაში მორლეიმ გაარჩია დაწვრილებით უკანასკნელ წელთა პოლიტიკა, ის პოლიტიკა, რომელმაც, მორლეის თქმით, ინგლისის წინმსვლელობა შეაჩერა, თავისუფალ განვითარების ტრადიცია შემწიკვლა და თვით ინგლისის სახელი შეაძულა განათლებულ ერებს. ომის ვითარებათა განხილვის დროს მორლეიმ შეადარა სხვა-და-სხვა მინისტრის სიტყვები და გასაოცარი რამ გამოიყვანა.

„ჩვენ ულტიმატუმი გაუგზავნეთ ტრანსვაალს, რადგანაც კარგად ვუწყოდით იმის შეიარაღების ამბავი" (ჩემბერლენი); „ჩვენი ჯარი მარცხდებოდა იმიტომ, რომ არა ვუწყოდით რა ტრანსვაალის შეიარაღების შესახებ" (სალისბიური); „ჩვენ არა გვსურს მიწა-ადგილის გაფართოვება, არა გვსურს შემოერთება" (ჩემბერლენი, 1899 წ.); „ვერავითარ დამოუკიდებლობას ვერ მივანიჭებთ ბურებს! უეჭველად უნდა დავიმორჩილოთ!" (ჩემბერლენი, 1900 წ.); „ტრანსვაალი თვითმმართველი ახალშენი კი არა, პროვინცია იქმნება, რომელიც გუბერნატორმა უნდა განაგოს" (ჩემბერლენი, 1901 წ.); „30 ათასი ჯარის-კაცი და 13 მილიონი გირვანქა სტერლინგი, აი რა დასჭირდება ომს" (1899); „100 ათასი კაცი და 60 მილიონი გირვანქა და ომს გავათავებთ!" (1900); „250 ათასი კაცი და 200 მილ. გირვანქა, აი რაა საჭირო ტრანსვაალის დასაპყრობად" (1901); „ჩვენ ვიბრძვით ტრანსვაალში მცხოვრებ თეთრ კაცთა უფლებების გათანასწორებისათვის" (1899); „უჭკუობაა თანასწორი უფლებანი მიენიჭოს ბურებსა და ინგლისელებს" (1901); „ჩვენ თავისუფალი შრომისათვის ვიბრძვით" (1899); „თუ ძალად არ ვამუშავეთ ზანგები (ე. ი. თუ მონობას არ შემოიღებენ), მადნებსა და მაღაროებს ვერ დავიმუშავებთ" (1900).

და მთლად ეს სიცრუისა და ძალმომრეობის სისტემა დაგვირგვინდა მხეცურ მოქმედებით დედაკაცთა და ბავშვთა მიმართ, რომელთაც საჭმელს არ აძლევენ, შიმშილით ხოცავენ.. აი დაახლოვებით ასე ილაპარაკა მინისტრად ყოფილმა, გლადსტონის მეგობარმა, თანამშრომელმა და ბიოგრაფმა, „პატიოსანმა ჯონმა". ამავე კილოთი ილაპარაკა მინისტრად ნამყოფმავე ბრაისმა. უფრო მკაცრი კილო იხმარეს პარლამენტში რადიკალებმა და ირლანდიელმა დეპუტატებმა. ბოლოს თვით ოპოზიციის მეთაურებმა, მომავალმა პირველმა მინისტრებმა, ბანერმანმა და გარკურმაც მორლეისებურ კილოთი დაიწყეს ლაპარაკი. შეირყა პარლამენტის წევრთა ის უმრავლესობა, რომელიც მთავრობას მხარს უჭერს. აღარავისათვისაა საიდუმლო, ოპოზიციას რომ მოესურვა, ტყვე დედაკაცთა და ბავშვთა შესახებ ლაპარაკის ჩამოგდების დროს, სამინისტრო დამარცხდებოდა; მაგრამ ოპოზიციას არავითარი სურვილი არა აქვს სამინისტროს შედგენისა ეხლა და კონსერვატორების მიერ წახდენილ საქმის გაძღოლისა. იგი ელის იმ დროს, როდესაც სამინისტრო და იმისი მომხრე უმრავლესობა გააბრაზებს და მოთმინებიდგან გამოიყვანს საზოგადოებას. და მგონი მალეც მიაღწევს თავისას ოპოზიცია... დღითი-დღე, თან-დათან აშკარავდება ძალ-მომრეობის, საკონსტიტუციო უფლებათა დარღვევისა და ინგლისის კანონების სიძულვილის ამბები.

ერთ უმთავრესს ბრალდებად ომისა და სამინისტროს წინააღმდეგ უნდა ჩაითვალოს miss ჰობჰოუზის ანგარიში მგზავრობისა იმ ბანაკებში, რომელნიც ტყვე დედაკაცთა და ბავშვთა სამარხებად გადაიქცნენ. საოცარი გავლენა იქონია საზოგადოებაზედ ამ ანგარიშმა. აქ მოთხრობილმა ამბებმა აალელვა ყველანი მიმართულებისა და მდგომარეობის მიუხედავად. პირველად ხმა ამოიღო ლორდმა რიპონმა, ცნობილმა ადმინისტრატორმა და ინდოეთის ვიცე-კოროლად ნამყოფმა.

აი ეს არის ეხლა წავიკითხე, სწერს იგი, miss ემილია ჰობჰოუზის ანგარიში თავ-შესაფარ ბანაკთა შესახებ და ღრმად შეწუხებული ვარ იქ ამოკითხულის გამო. სირცხვილი მწვავს, როდესაც გავიფიქრებ, რომ ამ გვარი საქმეები ინგლისის საბრძანებელში ინგლისელთა მეოხებითა ხდება. პოლიტიკას არ შეეხება ესა; არც იმასა აქვს ადგილი ამ საქმეში, სამართლიანი თუ უსამართლოა ომი,—საქმე შეეხება ჩვენ სამშობლოს პატიოსნებასა და კეთილ სახელს, ჩვენის ხალხის მამაცობასა და ხასიათს... ამ შემთხვევაში კერძო კაცნი კი არ არიან დამნაშავენი, თვით სისტემაა უვარგისა და გულის ამღვრევი... ერთი მამაცური სიტყვა ერისა დაუყოვნებლივ გააუქმებს მთელს სისტემას. მაგრამ მოგვეპოვება თუ არა სიმამაცე ამ სიტყვის წარმოსათქმელად?"

„—დეე,—სწერს ერთი „კონსერვატორი ბარონეტი",—სალიბერალო დასის მეთაურებმა გამართონ ჯვაროსანთა ომი მშვიდობიანობისა და კაცობისათვის და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი მხარს დაუჭერს მათ. ერთი ძლიერი ხმა ერისა და სამარცხვინო მთავრობა დაეცემა, დაემხობა". ასევე აცხადებენ უკმაყოფილებასა და პროტესტს სამღვდელონი, სწავლულნი, მწერალნი, საზოგადო მოღვაწენი. ყველაზედ მეტად აღელვდნენ არისტოკრატიის და საშუალო კლასთა განათლებული ქალები.

მაგრამ უშესანიშნავესს მოვლენად ამ პროტესტებისა და აგიტაციის დროს უნდა ჩაითვალოს ფრედერიკ გარრისონის „წერილები მუშა კლასთა მიმართ". ამ წერილების ყოველ ბწკარში ამოიკითხავთ ღრმა უკმაყოფილებას მოქალაქისას, რომელმაც ხანგრძლივი და პატიოსანი ცხოვრება თავისს მოქალაქეთა განათლებასა და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობას მოანდომა. თვით გარრისონი პოზიტივისტია, ჯ. სტ. მილლის მეგობარი. მე-60 წლების დასასრულიდგან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშათა მოძრაობაში და რამდენიმე წლიწადი ზედიზედ ტრედ-უნიონისტთა საპარლამენტო კომიტეტის სულსა და გულს შეადგენდა. ის ნაყოფიერი ხანა (1870—74), როდესაც შრომის შესახებ კანონები და რეფორმები იქმნა შემოღებული, მჭიდროდაა დაკავშირებული გარრისონის სახელთან.

შვიდი თუმანი ხელში მიუციათ და შვილსაც, რაცა საქმეს მოიგებდა, მაშინ დაჰპირებიან. არა მგონზე გექილს შვიდი თუმანი ჯიბეში უტუცია და საბრალო გლეხები დაიმედებულნი გამოუსტუმრებია, რომ საქმეს მოიგებენ... აი, ამის შემდეგ დიცის საზოგადოების მაშინდელ მამასახლისის ა. ბორცვაძის თანხმობით ტირძნისელებმა სასოფლოდ თურმე განაჩენი დაადგინეს, რომ ვინცკი გაჰბედავდა და ბატონის სასარგებლოდ ფულს გადიხდიდა, სასოფლოდ ხუთი თუმანი ფული გაელო და ჯარიმათ განაჩენის დამარღვეველს ძროხა ან ხარი დაეკლა. გადის დრო, მაგრამ გლეხები თავიანთის მრჩევლის დარიგებითა და განაჩენის ძალით პირობას არ ასრულებენ. მხოლოდ ორიოდე კომლი არ მიჰხედავს არც მრჩეველის სიტყვასა და არც დადგენილს განაჩენს, მივლენ ბატონთან, ნება-ყოფლობით მორიგდებიან და ბატონის ვალს თავიდგან მოიშორებენ. სოფელი რომ ამას შეიტყობს, შეფუცხუნდება და ზემოდ მოხსენებულის განაჩენის დამარღვეველს ორს კომლს დევნასა და საჩივარს დაუწყებენ. ამის გამო საქმის გამოსაძიებლად ტირძნისში მოვა საგლეხო სასამართლოს წევრი ბ-ნი ვეიდენბაუმი, გამოიძიებს და ზემოდ დასახელებულს განაჩენს აღმოაჩენს. გასინჯავს საბუთებს გლეხებისასა და მებატონისას და აუხსნის გლეხებს, რომ განაჩენი უსაფუძვლოდ არის შედგენილი. ამის შემდეგ მამასახლისმა მაშინვე განაჩენზე უარი განაცხადა და მწერალს გადააბრალა, ხოლო ეს უმტკიცებდა, რომ იგი არაფერს შუაშია და რაც მამასახლისმა და სოფელმა უბრძანა, იმანც მათი ნაბრძანები შეასრულა. ამ რიგად აღნიშნული საქმისა გამო მამასახლისი პასუხის გებაში იქმნა მიცემული, და კარგა ბლომა ფულიც მიფლანგა, რომ თავი როგორმე დაეძვრინა, ხოლო 1899 წლიდგან მოყოლებული დღევანდლამდის გლეხები თავისკენ იწვევდნენ და ტყუვდებოდნენ მრჩევლის წყალობით, მაგრამ ვერას გახდნენ, რადგანაც მათი საჩივარი უსაფუძვლო და უკანონო იყო. თვითონ ჩემთან აღიარეს 9 ივნისს ზოგიერთმა მოხუცმა, დარბაისელმა გლეხებმა: „შეგვაცდინა იმ "ულვთო-ურჯულო ქრისტიანმა ნასწავლმა ხემწიფის კაცმა და ბატონს ვუღალატეთო." როგორა გგონიათ, მკითხველო, ვინ აღმოჩნდა მერე გლეხების მრჩეველი და დამრიგებელი!?—გვრცხვენიან სწორედ მისი საპატიო თანამდებობისა, მაგრამ იძულებულნი ვართ გავამჟღავნოთ. როგორც გლეხებმა აღიარეს ბ-ნის მაზრის უფროსის თანაშემწესთან, ბოქაულებთან და ხალხთან, ეს გხლებიათ ტირძნისის გლეხებისათვის დიდად გულ-შემატკივარი, ანუ მოკლედ, დამლუპველ-დამბრიყვებელი და, როგორც საქმიდგანა სჩანს, თვით უვიცი და ბრიყვი არა წმინდა ადამიანი ვინმე სოფლის მასწავლებელი ბ-ნი გ—ძე. თქმა არ უნდა, ამ გვარის გაიძვერა მასწავლებლის ხელში მოსწავლენი საბრალისნი არიან! სარგებლობა, რომელიც ამ ვაჟბატონმა სოფელს მოუტანა ამ თავისის ვექილობით, მოკლედ ასე გამოიხატება: დღეს მისის წყალობით სოფელი დავალიანებულია და ორი თუ სამი გლეხი კიდევ საპყრობილეში ზის, რომელთა ცოლშვილი და წლის მოსავალიც ღვთის ანაბარად არიან დატოვებულნი. ვაშა, მასწავლებელო!

რაე და ფარი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ჯიმითი (სიღნაღის მაზრა). 15 ივნისს ს. ჯიმითის სახელმწიფო ტყეში შემდეგი სამწუხარო შემთხვევა მოხდა: მწყემსს ჯაფოშვილს აკრძალულს ტყეში საქონელი შესვლია. ეს შეუნიშნავს ტყის მცველს, ამავე სოფლის მცხოვრებს სვიმანა შავლიაშვილს და საქონელი გამოურეკია, დაუჭერია მწყემსი და თოფის წართმევა მოუნდომებია; მაგრამ მწყემსს თოფი არ დაუნებებია და გასძალიანებია. ამ ჭიდილსა და ჩხუბში თოფი უნებურად გავარდნილა, მცველს შავლიაშვილს მსხვილი საფანტი ფეხის წვივში მოჰხვედრია და ძვლები სულ ერთიანად დაუმტვრევია. უბედური მცველი მაშინვე მიწაზედ დაცემულა და საცოდავად დრიალი დაუწყია, მიშველეთ, ჯაფოშვილმა მომკლაო. ამ უკანასკნელსაც შეჰშინებია და გაქცეულა. ფეხ-მოტეხილი კაცი სოფელში შემდეგ ურმით ჩამოუტანიათ. მამასახლისს ეს ამბავი იმავე დღეს რაპორტით ბოქაულისათვის უცნობებია, რომელსაც მწყემსი ბიჭი გამომძიებელისათვის გარდაუცია.

როგორც შევიტყეთ, მკურნალი არ მიუწვევიათ, ჭრილობიდგან სისხლი მოჰშხამვია, დაჭრილი მთლად დასიებულა და მეექვსე დღეს გარდაცვლილა. მაზრის მკურნალი დასაფლავების შემდეგ მეხუთე დღეს-და მისულა.

ი. მ.

უცხოეთი

გერმანია. ლეიპციგის ბანკის გაკოტრებისა გამო გაზეთ Figaro"-ს ბერლინელი კორრესპონდენტი გერმანიის დღევანდელს ფინანსიურს მდგომარეობას ასე სამწუხაროდ აღგვიწერს:

კორრესპონდენტის აზრით, საქმე მარტო ამ ერთის კოტრობით არ გათავდება და სუსტი საფინანსო დაწესებულებანი და მათთან ერთად რამდენიმე ბანკი კიდევ სხვა უთუოდ სულს დალევენ და გერმანიის საქმეები აირევა. ელექტრონისა და ფოლადის საუკეთესო საწყობებსაც-კი ფული უჭირთ, საქონელს ზარალით ჰყიდიან და სათადარიგო თანხას მიჰყვეს ხელი. ერთის თვისა ან ორის კვირის შემდეგ ამათ უთუოდ საზოგადოების ნდობას უნდა მიჰმართონ, მაგრამ საზოგადოება, ეჭვი არ არის, ნდობაზედ უარს განუცხადებს და ამას-კი დიდი სამრეწველო გაჭირვება მოჰყვება, რომლის რაოდენობის გამოანგარიშებაც ახლა ყოვლად შეუძლებელია. გარდა ამისა, მოუსავლობისაც ძლიერ დიდი შიში აქვთ: ჯერ დღესვე მემამულეთა და მიწის-მომქმედთ 400 მილიონი მარკა ზარალი აქვთ და მთავრობა იძულებულია სესხი უსარგებლოდ აძლიოს და შემდეგ რაღა იქმნება, ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის: ეჭვი არ არის, დაიმშევიანო.

— როგორც კასსელის გაზეთები იუწყებიან, კასსელის თხლის გამხმობ საზოგადოების გაკოტრებას მუშებისათვის დიდი უბედურება მოჰყოლია: 25 სამრეწველო დაწესებულებამა და ბანკმა მუშებს ფულზედ უარი უთხრა, 5 ათასი მუშა და 200 სხვა-და-სხვა მსახური უადგილოდ ქუჩაში გამორეკაო,—იუწყებიან. ქალაქ კასსელის შემოსავალმა მთელი მილიონი დაიკლო. საქსენ-ვეიმარის დიდმა საჰერცოგომაც ძლიერ ბევრი იზარალა ლეიპციგის ბანკის გაკოტრებით. ვესტფალიის გაზეთები ფოლადის ჩამოსასხმელს ფაბრიკებში მუშაობის შეწყვეტისა გამო სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილებსა ჰბეჭდენ და დიდათა სწუხან. „Paris Neuvelles" ბერლინელი კორრესპონდენტი კიდევ თითქოს აპირებს საზოგადოებას სახელი გაუკეთოსო, კასსელის საზოგადოების იმ განყოფილებებს ასახელებს, რომლებზედაც მთავარ დაწესებულების გაკოტრება ვერაფერს ცუდს გავლენას ვერ იქონიებდა და ამიტომ საშიშს მდგომარეობაში არ არიან, მაშასადამე, მაგ.: შვეინფურტში—შეერთებული ქიმიური ფაბრიკები, ვეისსვარებში—„ქიმიურ მრეწველობის საქციო საზოგადოება", ჰამბურგში—„ჩრდილო გერმანიის შეერთებული ქიმიური ფაბრიკა", ვენაში—„ტყის მომხმარებელი ბოსნიის საზოგადოება", ჰელსინგფორსში—„ტყის მომხმარებელი ფინლიანდელთა საზოგადოება", რუსეთში—ეგრედ წოდებული „საქციო საზოგადოება ხის დისტილიაციისა და ქიმიურ მრეწველობისა" და ნანტში—„ხეტყის ქიმიური საზოგადოება".

ვენის გაზ. „Deutscher Volksblatt" იგონებს ამ ოთხის წლის ამბავს იმ სავაჭრო პირობის შესახებ, რომელიც კასსელის საზოგადოების განყოფილებას მიეცა ბოსნიაში და რომლის გამოც გაზეთმა დიდი წინააღმდეგობა განაცხადა და ამბობს: „მაშინვე ვიცოდით, რომ ასეთი უბედურობა მოსალოდნელი იყო, მაგრამ ვინ დაგვიჯერაო?" და სხ.

— „Leipzig. Neueste Nachr." ცნობილს სისტემას ინგლისელებისას სხვა-და-სხვა ამბების მიჩქმალვისა და მიმალვის შესახებ დიდათა ჰკიცხავს. ინგლისელები, მაგალითად, თავისის სადეპეშო მონოპოლიით სარგებლობენ და რაც-კი რამ ჰონკონგსა და კაპშტადტში შავის ჭირის გავრცელების ამბავს შეეხება, ყველაფერს ჰმალვენ და ქვეყანამ არა იცის-რა, აღნიშნულს ადგილებში შავი ჭირი რა ზარალს იძლევა, როგორა ვრცელდებაო. თუ რომ შავი ჭირი მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა ტალახიანსა და უსუფთაო უბნებშია გავრცელებული და ევროპიელთა უბნებს იშვიათად ეწვევა ხოლმე, ეს, რასაკვირველია, კიდევ არაფერია და ევროპიელებს შიში არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ საშიში ის არის, თუ ჭირი ევროპიელთა უბანშიაც გადავა და იქ დაუწყებს ხალხს ჟლეტასაო. საკუთრივ საგულისხმიერო და საყურადღებოა, ბ-ნებო, თუ მოიხსენებთ, განათლებულ ევროპიელების ასეთი შეხედულება: საშიში მხოლოდ ის არის, თუ ჩვენც გვეწვევა შავი ჭირი, თორემ შავკანიანების გაჩენაში ხომ ღმერთი არ ურევიაო!"

ამერიკა. ნიუ-იორკის გაზეთები ამ დღით მხოლოდ სიცხისაგან მომხდარ უბედურებათ-და აღგვიწერენ და ქვეყანას შიშის ზარსა სცემენ. ერთის კვირის

უკმაყოფილო მოხუცი, როგორც ძველი მეგობარი, ბრალსა სდებს მუშათა კლასს და პირში ეუბნება მუშებს, მოუძლურებულნი, ანგარნი და მშიშარანი ხართო. ანგარებით, ამბობს იგი, გაჩუმებულხართ და არაფერს ამბობთ დამნაშავე მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც შეარცხვინა ჩვენი თავისუფალი ქვეყანა; შიშით ვერ აგიმაღლებიათ ოდესმაც ძლიერი ხმა და ვერ გამოსარჩლებიხართ ბავშვებს, რომელთაც უწყალოდ ჟლეტავენ თქვენის მთავრობის ახლად მოვლენილი იროდნი... გამოიღვიძეთ, შეაჩერეთ მხეცობა ტრანსვაალში და წრეს-გადასული თავხედობა აქ, სახლში. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაგრძობს მოხუცი, სისხლი უდანაშაულო ბავშვებისა და დედა-კაცებისა, რომელთაც თქვენის სახელითა ჟლეტენ, თქვენს კისერზედ იქმნება, ხოლო ინგლისის პატიოსანს სახელს მთელის საუკუნოებით ვეღარ ალაღგენთო".

მარტო წიგნაკებითა, საჟურნალო სტატიებით და წერილებით არ დამთავრდა გამოღვიძებულ საზოგადოების უკმაყოფილება. ყველგან შემოწირულების შეკრებას შეუდგნენ ძალ-მომრეობის მსხვერპლთა დასახმარებლად და შესაწევად. Miss ე. ლობლოუზის ანგარიში იმ უკანასკნელ წვეთს შეადგენს, რომელმაც ავსო საზოგადოების მოთმინების ფიალა. დაუფასებელია სამსახური ლორდ ლობლოუზის ახალგაზრდა, წყნარისა და მეტად სიმპატიურის ქმისწულისა. ტყუილად-კი არ ამოუყენეს გვერდში ახალგაზრდა ქალის სახელი ფლორენცია ნეიტინგალის—ამ პირველ დაი მოწყალების, ყირიმის ომის დროს დაჭრილთა და ავადმყოფთა მშველელ-მფარველ ანგელოზის სახელს. ამ ანგარიშის მიერ გამოწვეული მოძრაობა—ახალი ხანის დაწყობაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაშასადამე, ინგლისის პოლიტიკაშიაც. ამისავე მაჩვენებელია პარლამენტში მთავრობის მომხრეთა რიცხვის შემცირება. აქამომდე მთავრობის მომხრეთა რიცხვი პარლამენტში მოწინააღმდეგეთა რიცხვს თუ 134 კაცითა სჭარბობდა, დღეს 28 კაცით ძლივს-ღა სჭარბობს.

ინგლისელთა ჩვეულებისამებრ, პირველ ყოვლისა მიტინგების გამართვას შეუდგნენ ომის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. პირველი დიდი მიტინგი გამართეს ინგლისის მუშათა კავშირებმა ფრანგ მუშათა დელეგატების პატივსაცემლად, იმ დელეგატებისა, რომელნიც საფრანგეთის ყველა კუთხიდგან ლონდონში მოვიდნენ ხალხთა ძმობისა, განათლებულ მწარმოებელთა თავისუფალ შრომისა და მშვიდობიანობის გამოსაცხადებლად. ფრანგების ადრესი ინგლისის ხალხის მიმართ, მეტად გულწრფელის ენით დაწერილი, თავდება მოწოდებით: „ომი ომის წინააღმდეგაო!" მიტინგს დიდ ძალი ხალხი დაესწრო, ყველას ალტაცება და აღფრთოვანება ეტყობოდა. ჩვეულებისამებრ მიტინგმა შეიწყნარა რეზოლიუცია, რომლითაც სასტიკად განკიცხულ იქმნა სამინისტროს პოლიტიკა და ომი ტრანსვაალთან.

ეს მიტინგი კვირა დღეს მოხდა. შემდეგ ოთხშაბათს ლონდონის უდიდეს დარბაზში გამართულ იქმნა მეორე მიტინგი ტრანსვაალთან ომის მომსპობ კომიტეტის მიერ. რეაქციონურმა პრესსამ, მშვიდობიანობის მეგობართა წარმატებით შეშფოთებულმა და გულ-გახეთქილმა, ბუკი და ნაღარა დაჰკრა. სამინისტროს გაზეთები საოცარ სიცრუისა და ტყუილის გავრცელებას შეუდგნენ. ერთმა საბირჟო გაზეთმა დაჰბეჭდა, რომ მიტინგი ბელგიელებმა გამართეს, რომ ამ მიტინგზედ კრიუგერის ეპისტოლეს წაიკითხავენ, რისთვისაც ლონდონში დოქტორი ლეიდსი მოვიდაო. ამ ამბის გაგონებისას „Globe"-მა, „Daily Mail"-მა, „Finuncial News"-მა და საერთაშორისო მძარცველობის სხვა გაზეთებმა დიდის მხნეობით მოუწოდეს ბირჟისა და ლუდხანების „პატრიოტებს" უცხო-ქვეყნელთა გასადევნად და გასანადგურებლად. მალე შენობის გარშემო თავი მოიყარეს საეჭვო აგენტებმა და ახალგაზდა ლაზღანდარებმა. მაგრამ ამავე მიტინგზედ შეიკრიბა მრავალი განათლებული ყმაწვილი კაცი და მუშა—ლონდონის წარმოების სახელი და სიამაყე. მყვირალა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს შენობაზედ კრების დასაშლელად, მაგრამ კარებთან მდგომმა მამაცმა მუშებმა ინგლისურ ბოქსს მიჰმართეს და მალე დაარწმუნეს მყვირალანი, რომ აქ ვერაფერს გააწყობდნენ. ეს მიტინგი მშვიდობის მოყვარეთა სრულის გამარჯვებით დასრულდა.

კონსერვატორები და მთავრობა სახუმაროდ არ შეშფოთდნენ. ყოველის ღონით სცდილობენ ეხლა მოძრაობის შეჩერებას. მაგრამ თვითაც კარგად უწყიან, რომ მათი საქმე წაგებულია. ის და მოახერხეს, რომ დარბაზის პატრონნი შეაშინეს მომავალ არეულობებით და ეხლა სახლის პატრონნი დარბაზებს ალარავის უთმობენ ომის წინააღმდეგ მიტინგების გასამართავად. სწორედ ასე მოიქცა იმ დარბაზის პატრონი, სადაც ზემოდ აწერილი მიტინგი გაიმართა: ამ ვაჟბატონმა miss ლობლოუზს დარბაზი აღარ დაუთმო ახალ მიტინგისათვის. ამ ამბავმა სამღვდელოებაც-კი აღელვა; ერთმა მღვდელმა სიამოვნებით დაუთმო ეკკლესია მიტინგისათვის. მაგრამ პოლიციის კომისარმა განაცხადა, რომ არეულობისა მეშინიანო, და მიტინგის ნება არ დართო. განა ამ გვარის ხრიკებით შეიძლება სიმართლის ჩაჩუმება, ჭეშმარიტების შეჩერება? ლონდონის ნაცვლად ოქსფორდში შეუდგა miss ლობლოუზი თავისს საჯარო ლექციების კითხვას. პატარა ლექციებს ახალგაზდა ქალი წინადაც კითხულობდა ლონდონში. გუშინდელმა იმისმა საჯარო მიტინგმა ოქსფორდში სამაგალითოდ ჩაიარა. Miss ლობლოუზის ჯვაროსან ომს რეაქცია ვერაფრით ვერ გადაურჩება. მოძრაობას ვერაფრით ვერ შეაჩერებენ სიბნელის მოყვარულნი ვერც შიშითა და ვერც ცილის-წამებით.

თვით პრესსასაც სხვა იერი, სხვა მიმართულება დაეტყო. როგორც ვუწყით, „Daily News"-ი ხელ-ახლა სალიბერალო ტრადიციებს დაუბრუნდა. ძველ პროგრამასვე დაუბრუნდა ეხლა დიდად გავრცელებული და უწინ რადიკალების მომხრე გაზეთი „Echo". გუშინ დაბეჭდილ აღფრთოვანებულ წერილში ეს გაზეთი მშვიდობიანობას, თავისუფლებას და სოციალურ პროგრესს ქადაგებდა. ყველა ეს-კი უკეთესის მერმისის მომასწავებელია.

ვ. მაჩველი

განმავლობაში ნიუ-იორკში, სულ ცოტა ათასზედ მეტი კაცი გამოასალმა სიცხემ ამ ქვეყანასთ. შიგა-და-შიგ წვიმებია, მაგრამ წვიმები სრულებით არავითარს შვებას არ იძლევიან, რადგანაც უზომოდ დიდი სიცხეები მაშინვე დედამიწას აორთქლებენ და ცხელი ოხშივარი სულს უარესად ჰხუთავს ხალხსათ. ხალხი ქალაქიდგან სადმე შორს მიემურება და ყოველ-დღე თითქმის 200,000 კაცი ქალაქს თავს ანებებსთ, ამისა გამო გაჭირობა საშინლად დაეცა და საქონელი თითქმის მთლად ოხრდება, რადგანაც მსყიდველი აღარავინ არის, ან არა და სიცხეს ვერ უძლებსთ. რაც შეეხება ხილსა და მისთანა ნაზს სანოვაგეს, ეს ხომ საშინლად სწრაფად ხდება და გადასაყრელი ხდებათ. მაგარს სასმელებსა სრულიად აღარავინა ხმარობს თურმე, რადგანაც სასანიტარო საბჭომ მცხოვრებნი ადრევე გააფრთხილა—თუ სასმელების სმას არ შესწყვეტთ, ძნელია თქვენი გადარჩენათ. ამის გამო ახლა მთელი ქალაქი თითქმის უსმელსა და ფხიზელს ხალხს თურმე წარმოადგენს, რაიცა უმისოდ, ეჭვი არ არის, არავითარის აკრძალვით არ შეიძლებოდა მოხერხებულიყო.

მთელს ნიუ-იორკში ყველაზედ გრილ ადგილად ეგრედ-წოდებული კუნძული ბლეკუელი ითვლება ისტრივერში, სადაც შეშლილთა სავადმყოფო და ქალაქის საპატიმროა. ხალხს რომ ეს შეუტყვია, გაზეთების სიტყვით, მაშინვე წვრიმალ ქურდობისა და დანაშაულობის ჩადენისათვის მიუყვია ხელი, რომ აღნიშნულს გრილს ადგილებში იქმნენ საცხოვრებლად გადასახლებულნიო. ეს არასფერი! ხალხს იქამდის თურმე ეძნელება ამ სიცხეში სიარული. რომ უსერთუკოდ დაიწყეს სიარული და ეს უცნაურობა აღარავის ეუცხოება და ეუცნაურება.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად პარიჟში დაუბეჭდიათ წიგნი, რომელშიაც სტატისტიკური ცნობებია შეკრებილი „Comedie Française“-ს თეატრის რეპერტუარის შესახებ 1680 წლიდგან დაწყებული 1900 წლამდე. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს, ყველაზედ მეტად მოლიერის პიესები წარმოუდგენიათ. მოლიერის პიესებს ისე ხშირად ადგენენ ამ თეატრში, რომ ერთ დრამატურგს, ლეონ გაზლონს, პროტესტიც-კი განუცხადებია ამის გამო. „მოლიერი, უთქვამს ამ მწერალს, სადრამო ხელოვნებას აფერხებს და ახალ ავტორებს ხელს უშლისო“. 1680-დგან 1900 წლამდე მოლიერის პიესები 20,290-ჯერ წარმოუდგენიათ თურმე მარტო ერთ, ზემოდ დასახელებულ თეატრში. მეორე ადგილი უჭირავს რასინს, რომლის პიესებიც 6,270-ჯერ წარმოუდგენიათ, შემდეგ რენიარს—5,262-ჯერ, კორნელს—4,717-ჯერ, ვოლტერს—3,950-ჯერ, მარივოს—2,431-ჯერ.

***

გლოსტერში (ამერიკაშია) ამას წინად გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ჯონ ფისკი, რომლის მრავალი თხზულება თითქმის ევროპის ყველა ენაზედაა ნათარგმნი და, სხვათა შორის, რუსულზედაც. ფისკი 1842 წ. დაიბადა, სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში დაამთავრა, სადაც პირველ ხანს მასწავლებლადაც იყო; მაგრამ მალე გაანება თავი და ლიტერატურას მოჰკიდა ხელი. ფისკმა მრავალი ფილოსოფიური და სოციოლოგიური შრომა დასწერა და ამერიკასა და ინგლისში დიდი სახელი მოიხვეჭა.

***

შვეიცარიაში არის ერთი ტბა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „სისხლის ტბას“ ეძახიან. ამ ტბის ნაპირზედ გაშენებულია ქალაქი მორო, სადაც 1476 წელს 21 ივლისს შვეიცარიელებმა დაამარცხეს კარლოს მამაცი თავისის ბურგუნდელებით. ხანდახან ტბას წითელი ფერი გადაჰკრავს თურმე, თითქოს სისხლი გადაუსხავთო. ადგილობრივ მეთევზეებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, ეს ბურგუნდელების სისხლიაო. მართლაც და 1476 წლის ბრძოლაში მრავალმა ბურგუნდელმა ჰპოვა სამარე ამ ტბაში; მაგრამ სიწითლე, რასაკვირველია, ამით არ აიხსნება. მეცნიერთა აზრით, ტბის ძირში წითელის ფერის მცენარე ხარობს და ტბაც წითელი ამიტომაა ხოლმე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 ივლისი.

პეტერბურგი. პირველ შინაგან მომგებიან სესხის მე-73 ტირაჟში გამოვიდა სერიები შემდეგის ნომრებისა: 15268, 12183, 7005, 9535, 4347, 18976, 7170, 2663, 10113, 18923, 7383, 16292, 18537, 17672, 19059, 1194, 421, 18880, 17647, 11680, 17330, 19624, 10191, 5956, 14117, 6252, 13459, 15819, 6328, 6177, 11369 15426, 3946, 8841, 13720, 16825, 19850, 9526, 6282, 6590, 19212, 12074, 8012, 4220, 12848, 11748, 5241, 9012, 14319, 6332, 14810, 2490, 12191, 13850, 11419, 196255(?), 2342, 12, 3777, 7813, 19414, 17462, 6391, 14065, 3243, 10178, 9718, 7464, 17892, 17064, 17430, 10247, 2892, 19760, 1082, 11460, 1825, 11339, 18751, 13164, 3865, 10602, 12288, 14054, 17052, 1843, 1687, 19152, 17614, 12587, 1840, 7086, 10348, 17927, 10731, 4380, 7292, 1167, 4695, 10338, 17181, 18924, 4781, 7662, 6405, 3362, 858, 9995, 17824, 6652, 7607, 19232, 6035, 13621, 16724, 3223, 11476, 11782, 3258, 17411 10372, 3784, 2021, 3868, 15970, 12262, 19915, 4388, 901, 1795, 10220, 1528, 16016, 17084, 18903, 19508, 5143, 8785, 6408, 8393, 16707, 17213, 16445, 17032, 7960, 18551, 16975, 11231, 17570, 11052, 3113, 2364, 16901, 16621, 10447, 18047, 7841, 6436, 2577, 19885, 4416, 16966, 7021, 12424, 7821, 9498, 1960, 9631, 16494, 823, 11576, 18422, 5429, 19675, 4442, 7226, 10216, 3531, 9561, 7396, 18156, 8506, 3422, 4511, 11884, 16427, 7703, 17902, 18989, 19974, 10420, 7454, 1132, 17192, 12781, 16074, 6028, 594, 10223, 17687, 6459, 13160, 8434, 2676, 2232, 14460, 16751, 18911; 19474, 1696, 13469, 10117, 2501, 13299, 19797, 14987, 9027, 11095, 19259, 15069, 8533, 5178, 17768, 6058, 9365, 1981, 9165, 8181, 2537, 17110, 8400, 15859, 12552, 17148, 12963.

ბელგრადი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ კოლაიშსა, ძველ სერბიაში, დღემდე 3 სერბიელი იქმნა მოკლულიო. მოძრაობას მეთაურობს პრიშტის მუტესარიფი დილმალ-ბეი. გუშინ მუტესარიფმა სერბიელთა რამდენიმე ეკკლესია გაჩხრიკა, ვითომ იქ იარაღია დამალულიო, მაგრამ ვერაფერი იპოვნა. პრიშტში მყოფ სერბიის ელჩს განსაცდელი მოელის; მუფტმა მოითხოვა, რომ ელჩი გაგზავნილ იქმნას პრიშტიდგან.

გრააფრეინეტი. ბურთა ბანაკს ბოოში ინგლისელები უეცრად თავს დაესხნენ; ტყვედ წაიყვანეს მათ 31 ბური და ხელთ ჩაიგდეს 56 ცხენი.

კრადოკი. 30 ივნისს სიკვდილით დასჯილი იქმნა ერთი მეამბოხე მკვლელობისა და ღალატისათვის.

ლონდონი. კიტჩინერი დეპეშით იუწყება, რომ ბურებმა ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს მურრენსბურგში საზოგადო შენობა და რამდენიმე ფერმაო.—ინგლისის ორი რაზმი ზარუსტში მივიდა და ტყვედ წაიყვანეს რამდენიმე კაცი. თვით ამ რაზმებს მოუკლეს ერთი აფიცერი და დაუჭრეს სამი აფიცერი და 24 ჯარის-კაცი. პოლკოვნიკის ბროდვუდის ბრიგადა თავს დაეცა რეიცს და ტყვედ წაიყვანა შტეინის ძმები. თვით შტეინი გაიქცა.

„Daily News“-ი სწერს: „კიტჩინერმა აცნობა მთავრობას, რომ ქვეითა რაზმთა დიდი ნაწილი შეიძლება წაყვანილ იქმნას სამხრეთ აფრიკიდგანაო; ამ რაზმების ნაცვლად კიტჩენერი დიდძალს ცხენოსანს ჯარსა თხოულობს. თუ ქვეითა რაზმები წაიყვანეს, მთავრობა ჯარს თავს მოუყრის დურბანსა, მარიცბურგსა და იოჰანესბურგს შუა. მთავრობას მეტად მიაჩნია კაპშტადტ-პრეტორიის შორის მთელ სიგრძეზედ ჯარის დაყენება.

პეკინი. ლიხუნგჩანგმა სთხოვა ელჩებს 2 აგვისტომდე გაიყვანონ ჯარი სასახლეებსა და ტაძრებიდგან. ელჩებმა თანხმობა განაცხადეს და შეატყობინეს ამის შესახებ მოკავშირეთა ჯარის უფროსებს.

პარიჟი. საერო დღესასწაულმა სამაგალითოდ ჩაიარა; სახლები გაჩირაღდნებული იყო; ბევრგან მაშხალებს წაუკიდეს და ცეკვა-თამაში გამართეს; ქუჩებში სიცოცხლეა. პიას ქუჩაში სროლა დაიწყეს და მძიმედ დასჭრეს ერთი დედაკაცი; სხვა არა მომხდარა-რა. სულ 14 კაცი დააპატიმრეს.

რომი. კრისპი პეტერბურგში წავიდა.

ხარკოვი. ნაფიცმა მზრუნველებმა, რომელნიც გაკოტრებულ სავაჭრო ბანკის ქონების გამორკვევას შეუდგნენ, აღმოაჩინეს თვალსაჩინო ბოროტ-მოქმედებანი, რის შესახებაც სასამართლოს აცნობეს.

ყაზანი. აქ საშუალო მოსავალს მოელიან. სეტყვამ ივნისში გააფუჭა 8,100 დესეტინამდე ჭვავი და 8,000 დესეტინამდე გაზაფხულის ნათესი. ზარალი 360,000 მანეთს აღემატება.

ვარნა. გამოსათხოვარ სადილზედ ევქსინოგრადში მთავარმა ფერდინანდმა წარმოსთქვა სადღეგრძელო რუსეთისა, ბოლგარიისა და იმის ჯარის შემქნელისა, ხელმწიფისა, რუსეთის ჯარისა და ფლოტისა. დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ კიდევ მთავარ ფერდინანდისა და ბოლგარიის ჯარის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

ევქსინოგრადი. გუშინ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, მთავარ ფერდინანდსა, სადიპლომატო აგენტ მახმეტიევსა, მინისტრებსა და ჟმალასთან ერთად ბურგასის ნავთსადგურში იყო. დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ჯარის დათვალიერების შემდეგ, საუზმის დროს, მთავარმა ფერდინანდმა მცხოვრებთა მხრივ მადლობა გადაუხადა მის უმაღლესობას და ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. დიდმა მთავარმა ბურგასის ნავთსადგურს კარგი მომავალი უსურვა ვაჭრობის საქმეში. სალამოთი გამართულ იქმნა დიდი სადილი „როსტისლავზედ“. დღეს დიდი მთავარი ბურგასიდგან კიუსტენჯში მიდის.

3 ივლისი

პეტერბურგი. ფინლიანდიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენ.-ლეიტ. გლაზოვი დანიშნულ იქმნა საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიის უფროსად.

გამოცხადებულია, რომ ფინანსთა მინისტრის მაგიერ ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა შესაძლებლად სცნო და ნება დართო, რომ ჩინეთში წუმწუმა უაქციზოდ იქმნას გატანილი კიახტის დამოენით.

ლონდონი. დეზელაციონსკოპიდგან იუწყებიან, რომ ოთხის რაზმით ბურების ბანაკზედ თავს დასხმა ბოოში ინგლისელებმა ჯერ ისევ ამ ორის კვირის წინად განიზრახესო. რაზმებმა ჯერ დემონსტრაციები მოახდინეს სხვა-და-სხვა მხრისკენ; შემდეგ პოლკოვნიკმა სკობელმა, რომელიც თავ-დასხმის დროს ჯარს უფროსობდა, გააცალკევა კაპის ცხენოსანი ჯარი და უბრძანა მას იერიში მიეტანა მტრის პოზიციაზედ აღმოსავლეთით, ამავე დროს თვით პოლკოვნიკი დასავლეთის მხრიდგან შემოერტყა მტერს ულანებითა და იომანრით. შეპერსი უმთავრესის ჯარით წავიდა აჩქარებულის ნაბიჯით. პოლკოვნიკმა სკობელმა აიღო ბურების ბანაკი, ამასთან ჩაიგდო 56 ცხენი, 25 თოფი, სამხედრო მასალა, სურსათი და ტყვეთაც 25 კაცი წაიყვანა. ინგლისელებს ზარალი არ მოსვლიათ. როგორც გამოირკვა, თითქმის ყველა ტყვენი მეამბოხენი ყოფილან. ტყვეთა შორის არიან შეპერსის ადიუტანტი ლიბერბერი და ჰორუჩიკი ლუი.

როგორც პრეტორიიდგან გამოგზავნილი კიტჩენერის დეპეშა იუწყება, იქ მოუყვანიათ პრეზიდენტის მოადგილის შალკ-ბურგერის მეუღლე.

ლეიპციგი. იუწყებიან, რომ ლეიპციგის ბანკის საკანტროლო საბჭოს თავმჯდომარე დღეველი დღეს გაანთავისუფლეს პატიმრობისაგანო.

კონსტანტინეპოლი. ქედივი კარლსბადში წავიდა.

შანჰაი. ხანკოუსთან წყალ-დიდობისაგან ხალხი ასობით დაიღუპა.

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ თქვენის პატივცემულ გაზ. „ივერიის“ საშუალებით ყველას, ვინც-კი ამ წლის 27-ს მაისს ქ. ქუთაისში გამართულს ქართულს წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო. წარმოდგენის შემოსავალი ს. აცანის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ (გურიაში) იყო დანიშნული. მონაწილეობა მიიღეს: ბ-ნმა ბ. ივანე ქანტურიშვილმა, რომლის ინიციატივითაც ქ. ქუთაისში წარმოდგენა იყო გამართული და რომელსაც ამას გარდა დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის აცანის სამკითხველოს მიმართ, ი. დათოშვილმა, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა და ზემოდ მოხსენებულს სამკითხველოს 100 ცალი წიგნი შესწირა, ღირებული 13 მან., დ. ჩარექოვმა, რომელმაც წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო, ბილეთების გასყიდვაში დახმარება აღმოუჩინა და 22 ცალი წიგნი შესწირა, ღირებული 5 მ. 25 კაპ., დახმარება გაგვიწიეს აგრეთვე ქ.ქ. ე. ჩიქოვანისამ და გაიანე ჩხაიძის ასულმა ბილეთების გასყიდვაში.

წარმოდგენიდგან შემოვიდა სულ 103 მ. 26 კაპ.; აქედგან 16 მ. 26 კაპ. ბილეთები სცენის მოყვარეთა ნაცნობებს მათივე თხოვნით უფასოდ დაეთმოთ.

სხვა-და-სხვა ხარჯს დასჭირდა 77 მან., დარჩა წარმოდგენიდგან წმინდა შემოსავალი 10 მამ. ამას გარდა ი. აბაკელიამ შემოსწირა აცანის სამკითხველოს 20 ცალი წიგნი, ღირებული 4 მ. 15 კ.

გამგე აცანის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი ლონგინოზ ჩიმაკაძე

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 6 ივლისს, დღის 12 საათზედ, ვოკზალს იქით მდებარე ქალაქის რეზერვუართან საცხოვრებელ სახლის ასაშენებლად, რომელიც სულ 1200 მან. ეღირება, **საჯარო ვაჭრობაა დანიშნული.**

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ საჭირო პირობები ქალაქის გამგეობის წყლის გამყვანს განყოფილებაში ნახიან ხოლმე ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 3 საათამდე. (3—6—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებათ. (100—211—55)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Іюня 1901 г.
სტამბა ქქ. ოგ. ხუჯაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე